

6. ნიადაგის გამჟავიანების აცილება და მინიმიზირება

სასოფლო სამეურნეო და ტყის ნიადაგების ანთროპოგენული გამჟავიანება ძირითადად უკავშირდება ფუძე კათიონების გამოტანას და ნიადაგის ბუფერულობის დაკარგვას, ვიდრე აზოტისა და გოგირდის გაზრდილი რაოდენობით შეტანას (მაგალითად, საძოვრები პარკოსანი ბალახდგომით, სასუქების შეტანა, ატმოსფერული ჩამონაცვენი). დაბალი pH-ის ბუფერული პოტენციალურობის, ან ალუმინის მაღალი შემცველობის ნიადაგებისათვის დამახასიათებელია გამოფიტული მინერალების დაბალი შემცველობა (მაგალითად, ძველთაძველი გამოფიტული ნიადაგები და კვარცით მდიდარი დედაქანებისაგან წარმოქმნილი ნიადაგები).

- ნიადაგის მჟავიანობის კონტროლი და ზედა და ქვესახნავი ფენების მჟავიანობის მინიმიზირება ნიადაგების გამაუმჯობესებლების გამოყენებით (მაგალითად, კირის, თაბაშირის და სუფთა ნაცრის)
- სასუქების და ორგანული ნიადაგგამაუმჯობესებლების დაბალანსებული შეტანა.
- ნიადაგის გამამჟავიანებლების მიმართებით სათანადო სასუქების გამოყენება.